ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება № 10-25

"16" იანვარი 2018 წ.

ქ. თბილისი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 19.07.2014წ. სარეგისტრაციო კოდი: 010250040.35.101.016001) და დადგენილებით დამტკიცებულ რეგლამენტში განხორციელდეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ერთი მოადგილე, ხოლო ფრაქციის ყოველ ცხრა წევრზე იგი უფლებამოსილია ჰყავდეს დამატებით ერთი მოადგილე. ამასთანავე, ფრაქციის თავმჯდომარეს შეუძლია ჰყავდეს არაუმეტეს სამი მოადგილისა."

ბ) 44-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ე" პუნქტი:

„ე) საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე."

გ) 31-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5) კომისიის სამდივნოს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის მიმართ გამოიყენება საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 35-ე მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტი და „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი."

დ) 43-ე მუხლის:

დ.ა) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2) ფრაქციას, თავისი საქმიანობის უზრუნველყოფის მიზნით, უფლება აქვს ჰყავდეს შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირები.“

დ.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3) ფრაქციისათვის ყოველწლიურად გამოიყოფა შრომითი ხელშეკრულებით ასაყვან პირთა წლიური სახელფასო ლიმიტი, რომელიც მტკიცდება საკრებულოს განკარგულებით.“

დ.გ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4) ფრაქციაში შრომით ხელშეკრულებით დასაქმებულ პირებს ფრაქციის თავმჯდომარის წარდგინებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ვადიანი ხელშეკრულების საფუძველზე ნიშნავს და ათავისუფლებს საკრებულოს თავმჯდომარე.“

ე) 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ს) გადაწყვეტილებას იღებს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, კომისიებისა და ფრაქციების თავმჯდომარეების, ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილის და საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხით გათვალისწინებულ მოსამსახურეთა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთათვის შვებულების და ქვეყანაში და ქვეყნის გარეთ მივლინების თაობაზე, ასევე ნიშნავს საკრებულოს დელეგაციის ხელმძღვანელს.“

ვ) 49-ე მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1) საკრებულოს მუშაობის ორგანიზების მიზნით იქმნება საკრებულოს ბიურო (შემდგომში – ბიურო), რომლის შემადგენლობაში შედიან: საკრებულოს თავმჯდომარე, საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე და მოადგილეები, საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეები, ფრაქციების თავმჯდომარეები და ფრაქციების თავმჯდომარეების მოადგილეები.“

2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**

განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების თაობაზე

1. **ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის (შემდგომში პროექტი) მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:**

2017 წლის 15 დეკემბერს საქართველოს ორგანულ კანონში „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" განხორციელდა ცვლილებები (1774-Iს), რომლის თანახმად, 32-ე მუხლს დაემატა „ე" ქვეპუნქტი, რომლითაც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირად ასევე განისაზღვრა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე, გარდა ამისა ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა კოდექსის 38-ე მუხლი, რომლის მე-3 პუნქტით დაზუსტდა და ახლებურად ჩამოყალიბდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილეების რაოდენობასთან დაკავშირებული საკითხი.

კერძოდ, კოდექსში შესული ცვლილების თანახმად, განისაზღვრა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარეს ჰყავს ერთი მოადგილე, ხოლო ფრაქციის ყოველ ცხრა წევრზე უფლებამოსილია ჰყავდეს დამატებით ერთ მოადგილე, ამასთანავე განისაზღვრა, რომ ფრაქციის თავმჯდომარეს შეუძლია ჰყავდეს არაუმეტეს სამი მოადგილისა.

ზემოაღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, დღის წესრიგში დადგა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებაში შესაბამისი ცვლილებების განხორციელების საკითხი. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი პროექტით N2-1 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 35-ე მუხლის მე-2 პუნქტი და 44-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით.

გარდა ამისა, „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს ასევე ცვლილებას, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტში, 43-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებსა და 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტში, რაც განპირობებულია იმ ფაქტით, რომ „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად, კანონის მე-3 მუხლის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად, შტატგარეშე მოსამსახურის დეფინიცია ჩაანაცვლა შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირის დეფინიციამ.

ამრიგად, წარმოდგენილი პროექტით ცვლილებები შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 31-ე მუხლის მე-5 პუნქტში; 35-ე მუხლის მე-2 პუნქტში; 43-ე მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტებში; 44-ე მუხლში და 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს" ქვეპუნქტში.

2. **პროექტის საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება:**

პროექტის მიღება გამოიწვევს დამატებითი ხარჯების გამოყოფას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან.

3. **პროექტის ავტორი:** იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე - ლევან ჟორჟოლიანი
4. **პროექტის წარმდგენი:** საკრებულოს თავმჯდომარე – გიორგი ტყემალაძე